№ 62 1877—1898 № 62

შაბათი, 21 მარტი, 1898 წ. შაბათი, 21 მარტი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—11)

8 მარტს არ შემდგარი

**საერთო კრება**

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა დანიშნულია **22 მარტისათვის** დილის 10 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

(2—6.—2)

კვირას, 22 მარტს, დილის 10 საათისათვის დანიშნულია ს. კუზმინ წლიური ჩვეულებრივი კრება წევრთა **მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ქუთაისის გუბერნიაში.**

საგნები კრებისა:

1) დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) განხილვა ამხანაგობის ახალის წესდებისა.

3) მოსაზრება, თუ როგორ დავეხმაროთ ადგილობრივი შალების გასაღების საქმეს და სხვა.

(2—55—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ეზოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი ასესორობა—სიღნაღის მაზრის პოლიციის გამგეობის მე-IX კლასის შტატს გარეშე მყოფ მოხელეს ქიტიაშვილს; კოლეჟსკი სეკრეტრობა ტფილისის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს ნაკაშიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა: თიანეთის მაზრის პოლიციის გამგეობის შტატს გარეშე მყოფ მე-X კლასის მოხელეს ცისკარაშვილს, თელავის მაზრის პოლიციის გამგეობის თარჯიმანს კიკნაძეს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: თელავის მაზრის პოლიციის გამგეობის რეგისტრატორსა და არქივარიუსს ნარეკლიშვილს, ტფილისის პოლიციის მოხელეთ ქურდიანიძეს და ქორქიას.

გადაყვანილ იქმნა პეტრე-პავლეს საგამომძიებლო ნაწილის მმართველი კოლეჟსკი ასესორი კახიძე—სიღნაღის საგამომძიებლო ნაწილის მმართველად.

დანიშნულ იქმნა ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი თუმანოვი—იმავე გამგეობის საქმის მწარმოებლად.

## ახალი ამბავი

—

*** ხვალ, 22 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „ახალის მკითხველის“ საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნებია: ა) მოხსენება ამხანაგობის წარსულის წლის მოქმედების შესახებ და ბ) პროექტი ამხანაგობის მოქმედების ახალის წეს-რიგისა. კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ ყველა მსურველთ.

*** რადგანაც განზრახვა აქვთ სასოფლო სკოლებთან გამართონ ამერიკის ვაზის სანერგეები, რომ ამ გვარად სოფლის მასწავლებლების შემწეობით შეიძლებოდეს ხალხში გავრცელება ამერიკის ვაზის მოვლა-მოშენებისა, ამიტომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში ტ. ს. მედვედევმა მისწერა კავკასიის სამოსწავლო ოქის მზრუნველს ტ. ს. კ. პ. იანოვსკის, რომ კარგი იქმნება ყვირილაში, სადაც საქარის სანერგეა, გამართული იქმნას კრება სოფლის მასწავლებელთა, რომ ადგილობრივ შეისწავლონ ამ ვაზის მოვლა მოშენება და აგრედვე ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობის წამლობა. ამაზედ ბ-ნმა კ. პ. იანოვსკიმ სრული თანხმობა განაცხადა და გადასდო სოფლის მასწავლებლებისთვის თითო მანათი დღეში, ვინც-კი კრებას დაესწრება. ქუთაისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა კრებები დაიწყე 23 მარტს და სულ 10 დღეს გასტანს. ლექციებს წაიკითხავს საქარის სანერგეს გამგე აგრონომი სტაროსელსკი, ხოლო პრაქტიკულად ვაზის გაშენებას უჩვენებს მსურველთ აგრონომი ლუგანოვი. მაისში კი ამავე ადგილას მოხდება კრება ტფილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა.

*** ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებლის სამეურნეო ნაწილის გამგე ატყობინებს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, რომ ახალქალაქის მაზრაში აუარებელი მინდვრის თაგვი ხელახლად გაჩნდა, რომელთაც შარშან დიდი ზარალი მიაყენეს ახალქალაქის მაზრის მცხოვრებელთაო. ამასთან გამგე სთხოვს საზოგადოებას მერჟეევსკის მიერ გამოგონილი წამალი გამოგვიგზავნეთ თაგვების მოსასპობადაო.

*** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ეგერმეისტერი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი დაბრუნდა ქუთაისიდგან ტფილისში და უკვე შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** საკასაციო საჩივარი იოსებ ქავთარაძისა, რომელსაც მევახშეობა

# ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

კვლავ მიმეფარა სხივები
ჩემის სულისა მზისაო,
გულს შავი ნისლი დააწვა,
ცრემლი მდის სევდის ზღვისაო;
სამოთხეც ჯოჯოხეთია,
როს გვერდ არა მყავს ისაო,
აღარ-რა მალხენს ცას-ქვეშე,
ყველა მძულს ქმნილი ღვთისაო!..

დ. მაჩხანელი

## წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

წერილი მეორე

ქალაქის არჩევანები

კონსერვატორების დამარცხება.

4 მარტი (ახალის სტილით)

ლონდონის დემოკრატთა და რადიკალთა დასი გამარჯვებას დღესასწაულობს: გუშინდელმა არჩევანებმა ხმის უმრავლესობა მიანიჭა პროგრესისტებს. პროვინციიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ არა ნაკლებად უხარიანთ ეს ამბავი იმათ, ვინც დაიმსახურეს სახელი მოწინავე კაცებისა და ვისაც პროგრესისტთა გამარჯვება თავისს გამარჯვებად მიაჩნიათ.

საზოგადოდ ლონდონის ქალაქის არჩევანებს არ ეტყობა ხოლმე სხვა-და-სხვა დასების ბრძოლა. ამ არჩევანების დროს სჩანს ხოლმე, რომ ამომრჩევლებს საგნადა აქვთ ხოლმე ესა თუ ის დასი-კი არა, არამედ მხოლოდ თვით საქმე ქალაქისა და ანგარიში. არც ერთხელ არ მომხდარა, რომ ქალაქის საარჩევნო საქმესთან დაკავშირებული ყოფილიყოს საპოლიტიკო საქმე, ან კიდევ ამა თუ იმ პოლიტიკის მიმდევართა შორის ბრძოლა ყოფილიყოს. მერე რად მოხდა, რომ სრულიად მოულოდნელადა და უეცრად ლონდონის ქალაქის არჩევანმა პოლიტიკური სახე და ელფერი მიიღო? და მერე კიდევ ისე ძლიერად იჩინა თავი ამ სხვა-და-სხვა დასების ბრძოლამ? მიზეზი ის გახლდათ, რომ სამინისტრომ მოიწადინა გარეულიყო ქვეყნის შინაურ საქმეში, რომელშიაც ერს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. უკანასკნელი სამინისტრო გლადსტონისა, როზბერი-მარლაისა სრულიად დამარცხებულ იქმნა იმის გამო, რომ ერთად თავი მოიყარეს ანგლიკანის სამღვდელოებამ, მიწის მფლობელმა დიდკაცობამ, ლუდის გამომხდელებმა და მთელის ინგლისის მედუქნეებმა. სამღვდელოებას ჰსურდა თავის ხელში ჩაეგდო პირველ დასაწყისი სწავლა-განათლება, დიდკაცობას უნდოდა, რომ ადგილ-მამულზედ ნაკლები გარდასახადი მიეცა; ლუდხანებისა და დუქნების პატრონები იბრძოდნენ იმ კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც თვითმმართველობას ეძლეოდა უფლება დუქნების დაკეტვისა. ამ მძლავრ კრებას მიემხრო პლუტოკრატიაც: ზოგი ებრძოდა იმ კანონს, რომლის ძალითაც მუშებისათვის დაწესებულია მხოლოდ რვა საათი მუშაობა, ზოგი კიდევ გამორჩენას ელოდდა ინდოეთსა, სუდანსა და აფრიკაში გასაგზავნ და გაგზავნილ დაუსრულებელ ექსპედიციებისაგან. დიდძალის უმრავლესობის ხმით ამ კავშირმა 1895 წელს ჩაუგდო ხელში ყოველივე უფლება კონსერვატორებს და სამინისტროს სოლსბერი-ბალფურჩემბერლენისას.

და დაიწყო მას შემდეგ გაუთავებელი ომი მთელის ქვეყნის ყველა კუთხეებში; გადადებულ იქმნა ყოველ წელიწადს 2,000,000 (20 მილიონი მანათი) ჯილდო არისტოკრატიისათვის ინგლისის ერის ფულიდგან; შემწეობა იმავე ფულიდგან ეპისკოპოსებისათვის, რომელნიც ჰმეთაურობდნენ ანგლიკანთა სამღვდელოებას და სხვ. და სხვ. დაწინაურებული ინგლისი, ინგლისი გლადსტონისა, მილლისა და ბრაიტისა გაოცებით შესცქეროდა სამინისტროს მოქმედებას, იმ სამინისტროს, რომელმაც შეარცხვინა ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთსა და საბერძნეთში; გაოცებით შესცქეროდა უმრავლესობას არაფრით გამოჩენილ და უცნობ უნიჭო კაცებს, რომელთაც მთელის ერის კანონ-მდებლობა გადააქციეს რეაქციის იარაღად. და მართალი უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელის 50 წლის განმავლობაში პარლამენტში არა ყოფილა ამდენი ისეთი მოღვაწე, რომელთა მოღვაწეობას არარაობა უნდა ეწოდოს სახელად.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ სამინისტრო შეეხო ექვს მილიონ მცხოვრებთაგან შემდგარს ლონდონის შინაგან საქმეთ. მერე რა მოიმიზეზა სამინისტრომ, რა მოიმიზეზეს Home Rule-ის წინააღმდეგ, რომ ლონდონს ხელი შეახეს? ისა, რომ ვითომ ლონდონი ისე დიდია, ისე მრავალი ხალხი სცხოვრობს ამ ქალაქში, რომ არ შეუძლიან თვისი საქმენი თითონვე განაგოს. და აი, მინისტრებმა ბალფურმა, ჩემბერლენმა და სხვებმა წინააღმდეგ აქაურ ჩვეულებისა,—(ჩვეულება-კი აქ უფრო სჯულთ უმტკიცესია, ვიდრე სხვაგან) მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო აგიტაციაში. ამათ, მათ შორის განსაკუთრებით ჩემბერლენმა სატანას ვექილმა *), როგორც მას სახელად უწოდა გლადსტონმა, დაუწყეს ხალხს დამტკიცება, რომ როდესაც ლონდონს ბოლო მოეღება და დაარსდება 12 ცალკე სამხედრო გამგეობა, მაშინ საქმე გაცილებით უკეთესად წავაო. საზოგადოებისა და მუშათა მოთმი-

---

*) ასე ეძახიან რომის კონსისტორიაში იმ ღვთის მეტყველს, რომელიც ამტკიცებს ხოლმე, ესა თუ ის წმიდანი წმიდანად არ ჩაითვლება, ამის უფლება არა აქვს. იგი ვექილია ჯოჯოხეთისა და სცდილობს წმიდანს ჯოჯოხეთში ამოუყოს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰბრალდება, უმართებულესმა სენატმა არ შეიწყნარა. სამოსამართლო პალატამ იოსებ ქავთარაძეს გადაუწყვიტა ყოველი განსაკუთრებულის და პირადად შეძენილ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და საცხოვრებლად ოთხის წლით ციმბირში, ასტრახანის გუბერნიაში, გაგზავნა.

*** ამ თვეში ორი საგანგებო სამაზრო სათავად-აზნაურო კრება იქმნება გამართული: ქ. დუშეთს 22-სა და ტფილისს 28 მარტს. კრებებზე თავად-აზნაურობა საერობო დაწესებულების შემოღების პროექტის განხილვის გარდა, მოილაპარაკებს საქართველოს მეფის ერეკლე II-ის სახსოვრად სტიპენდიების დაარსების შესახებ.

*** ამ ჟამად უმაღლესი მთავრობა შეუდგა ჭიათურის რკინის გზით შავის ქვის გადასატან გარდასახადის შემცირების საგნის გამორკვევას, რის გამოც სამინისტრომ ცნობები მოსთხოვა ადგილობრივ დაწესებულებათ, მაგრამ პასუხი ჯერ ყველა დაწესებულებისაგან არ მისვლია კავკასიის სამთო მმართველობამ მხარი დაუჭირა შავის ქვის მწარმოებელთ, რომ გარდასახადი ფუთზედ 10 კაპ. მაგიერ, 3 კაპ. იქმნას დადგენილი; ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკომერციო ნაწილმა სასურველად იცნო ფუთზედ 5 კაპ. გარდასახადი და პასუხს მიელიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსისაგან.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ შეადგინა ქვემო-მაჩხაანის სალოფლო ქსენონის წესდების პროექტი და გამოიანგარიშა ის ხარჯი, რაც ამ ქსენონის შენახვას დასჭირდება. ქსენონი დაარსებული იქმნება ქვემო-მაჩხაანში სოფლის საზოგადოების ხარჯით.

*** ოთხშაბათს ქალაქის მოედნების ზედამხედაობის გაწეს-რიგების შესახებ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) თათრისა, იარმუკასა, დესიმონოვისა, კახეთისა და ვერის მოედნებს ზაფხულობით 6—9 საათ. და ზამთრობით 7—10 საათამდის თვალ-ყურის სადევნებლად უნდა იმორიგეონ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა, მაზრის ზედამხედველის ჩვეულებრივ მორიგეობის გარდა. ერთი აგენტი უსათუოდ ფარდულში უნდა იდგეს და მეორემ იაროს დუქნებში. იმ დღეებში, როდესაც დიდი ვაჭრობაა, მაშინ უფლება ჰქონდეთ გამგეობის წევრსა და სავაჭრო-სამეურნეო ნაწილის მმართველს აგენტებს მიაშველონ ხარჯის ამკრეფნიც; 2) ამ აგენტების მოქმედების თვალ-ყურის სადევნებლად უნდა იყოს შემოღებული გამგეობის წევრთა მორიგეობა ორშაბათობით და ამასთანავე პირველად მორიგედ დანიშნულ იქმნას თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, მეორედ—ე. ე. ხოსროევი და მესამედ—ხ. ა. ვერმიშევი, 3) ყოველ ფარდულებზე გამოკიდებულ იქმნას პურისა და ხორცით მოვაჭრეთა სია; 4) ფარდულშივე შენახული უნდა იყოს განსაკუთრებული დავთარი საჩივრების აღსანიშნავად და განსაკუთრებული ყუთი საჩივარ ქაღალდის ჩასაგდებად, როდესაც აგენტები ფარდულში არ იქმნებიან. ეს დადგენილება შემოღებულ იქმნა 20 მარტიდგან.

*** ქუთაისის დედათა უსასყიდლო სასწავლებლის უფროსი სთხოვს ქ. ქუთაისის მცხოვრებელთ, რომელნიც-კი თანაუგრძნობენ ამ საქმეს, დაესწრნენ სასწავლებლის ახალ შენობის საძირკველის ჩაყრასა და კურთხევას კურინის რაზმის უფროსის სახლის პირდაპირ, ინჟინერის ქუჩაზედ, კვირას, 22 მარტს, დღის 12 საათზედ. თუ ამ დღეს ცუდი დარი დაჰგა, საძირკველის კურთხევა 25 მარტისთვის გადაიდება.

*** პეტერბურგიდგან სწერენ გაზ. „კავკასს“, რომ ამ ჟამად პეტერბურგში მყოფი ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ქილა უარს აცხადებს ბაქოს ქალაქის მოურავის თანამდებობაზედაო.

*** ქუთაისის გუბერნიის დაბა ხონის საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის წინაშე იმის შესახებ, რომ დაეთმოს საზოგადოებას 1,576 ოთხკუთხი საჟენი სახელმწიფო მიწა სახელოსნო სკოლის ასაგებად, ეს მიწა ადგილობრივის ორი გლეხის „ნადელს“ შეადგენს. ამ გლეხებმა უკვე განაცხადეს, რომ უფასოდ დაუთმობთ სასწავლებლისათვის ამ მიწასაო. ყოველ ეჭვს გარეშეა, სწერს გაზეთი „კავკასი“, რომ ეს შუამდგომლობა უნაყოფოდ არ ჩაივლისო.

*** „კასპი“ იუწყება, რომ შემდეგ ნავთის მწარმოებელთ გაჰყიდეს თავიანთის ნავთის ქარხნები: გ. ზ. ა. ტაგიევმა ქარხნები 5 მილიონად გაჰყიდა, დე-ბურმა—700,000 მან., ბათუმის ამხანაგობამ—150,000 მან., შიბაევმა 4,600,000 მან. და ცატუროვმა—1,300,000 მან. ამას გარდა მოლაპარაკება აქვთ და ჰყიდიან: რილსკი—3,500,000 მან., ბენკენდორფი—3 მილ., ძმ. ბუდაგოვები $4^1/_2$ მილ., მანთაშევი—23 მილ., ამხ. „მასისი“—1,500,000 მან., ამხ. ლუსნიაკისა—150,000, კავკასიის ამხანაგობას 950,000 მან.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკი ბარათაშვილი მომავალის კვირის დასასრულს ცნობას წაიკითხავს დევე-ბიინის ბრძოლისა და არზრუმის აღების შესახებაო.

*** რადგან ამ ბოლო დროს ბევრი თხოულობს სოფლებში დუქნების დაარსების ნება-რთვას, ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა ბრძანება დაუგზავნა მაზრის უფროსებს, შემატყობინეთ რამდენად საჭიროა ახალ დუქნების დაარსება და საზოგადოებათა განაჩენების შემოწმების დროს, რომ ნება ეძლევა სოფელში დუქანი გაალოსო, განსაკუთრებული მოწმობებიც მიეცით ხოლმე იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ახალის დუქნის დაარსება.

*** დ. ჭიათურა, (შორაპნის მაზრა). არც ერთი დაბა-სოფელი არ არის უშეშობით ისე შევიწროებული, როგორც დ. ჭიათურა. თვით ჭიათურაში ხე-ტყე სრულიად არ მოიპოვება, არც ეახლოება იგი ისეთს ტყიანს სოფლებს, რომ შეშა სასყიდლად იშოვებოდეს. კარგ ამინდში შორეულ სოფლებიდგან შემოაქვთ თითო-ოროლა ურემი შეშა, მაგრამ რადგანაც მყიდველები ჭიანჭველასავით ესევიან, გამყიდველიც ძვირად აფასებს, იცის, რომ მაინც გაჰყიდის; პატარა ურემი შეშა იყიდება შვიდ აბაზიდგან ორ მანეთამდე; საშუალო ურემი—ორი მანეთიდგან სამ მანეთამდის, მაგრამ, საუბედუროდ, ცუდს ამინდში აღარც ეს არის და ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი.

5 მარტს აქაურ სამრევლო სკოლის მმართველის ბლაღოჩინის—მღვდლის მ. აბესალომ ჩაჩანიძის თანადასწრებით იმერეთის ეპარქიის სკოლების უფროსმა მ. მელიტონ კელენჯერიძემ და მისმა თანაშემწემ მ. ი. გორგაძემ მოიწვიეს ადგილობრივ საზოგადოების კრება. მ. მ. კელენჯერიძემ აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სკოლას რიგიანი სადგომი არა აქვს და უნდა მოვიპოვოთ ადგილი სკოლის შენობის დასადგმელი, გადავიტანოთ იქ შენობა და რა შემწეობას აღმოუჩენს ამ საქმეს ჭიათურის საზოგადოებაო? აქაურმა მემამულემ საჩინო როსტომის ძემ ვაშაძემ შესწირა სკოლას სამუდამოდ საჭირო ადგილი, რის გამოც დიდი მადლობა შესწირეს როგორც მმ. მეთვალყურეებმა, აგრეთვე სკოლის მმართველმა ბლაღოჩინმა აბ. ჩაჩანიძემ, მასწავლებელმა და დამსწრე საზოგადოებამ. ამასთანავე სკოლის მმართველმა და კრებამ აღუთქვა საზოგადოების მხრივ შემწეობა ას მანეთამდის, უკეთუ სასწავლებლის მთავრობა ორასს მანეთს შეეწევაო, და მ. მელიტონ კელენჯერიძეც შეჰპირდა, ვიშუამდგომლებ, რომ სასწავლებელს დახმარება აღმოეჩინოსო.

*** დ. ჯიხაიში. 27 თებერვალს საზოგადო კრება იყო „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა“ 1897 წლის ანგარიშის განსახილველად. კრებას დაესწრო 89 წევრი (132). სხდომა დაიწყო მღ. ვაშაკიძის თავმჯდომარეობით ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში. ამხანაგობას 1897 წ. 1 იანვარს ჰქონდა წილის ფული 2997 მ. 20 კ., მობარებული — 695 მანეთი 10 კაპ.; სათადარიგო თანხა—216 მან. 88 კაპ.; გარდასაცემი ფული—85 მან. 64 კაპ.; მოგება—450 მან. 29 კაპ., სულ 4445 41 კაპ. 1898 წლის 1 იანვრისთვის აქვს წილის ფული 4297 მ. 8 კაპ.; მობარებული 2311 მან. 15 კაპ.; სათადარიგო თანხა—262 მან. 38 კაპ.; გარდასაცემი ფული 125 მან. 31 კაპ. და მოგება—755 მან. 50 კაპ. კრებაზედ გამოირკვა, რომ ამხანაგობის მმართველს 22 კაპ. და იმისს ორ ამხანაგს თითოს 11 კაპ. ჯამაგირი ჰქონიათ ყოველ სხდომისთვის. თითოეულ წილს მოუგია 8 მან. 50 კაპ. კრებამ დაადგინა მმართველს დაენიშნოს 40 კაპ. და იმისს ორ ამხანაგს ერთად 50 კაპ. შემდეგ დაიწყო არჩევანი და ზედამხედველ საბჭოდგან გამოსვლა ჰხვდათ წევრთ ნ. ვაშაკიძესა და ა. ქუთათელაძეს. ამათ მაგიერ ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ მღ. ცაგარეიშვილი (88 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 1 შავი) და ივანე თედორაძე (61 თეთ. 28 შავი). დაუდგეს აგრეთვე ყუთები თ. ს. ჩხეიძესა და გ. ნემსაძეს, რომლებიც არჩეულ იქმნენ პირველი მმართველობისა და მეორე საბჭოს წევრად.

*** ამას წინად თელავის მაზრის სოფ. ფშაველის მცხოვრებელმა გლეხმა ნაზშირაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა მამასახლისის თანაშემწე ხატო ალგონაშვილი.

*** აღდგომის პირველ კვირას სახელმწიფო თეატრში რუსულ წარმოდგენების მართვას კორშის დრამატიული დასი დაიწყებს.

---

ნებას ბოლო მოეღო. კეთილ-გონიერი კაცები მიხვდნენ, რა საშიში საქმე მოიწადინეს ჩემბერლენმა, სოლსბერიმ და მათმა მეგობრებმა და აი, მუდამ დარბაისელმა, თუ გნებავთ, კონსერვატიულმა ლონდონმა გუშინ საოცარის აღტაცებით პირველად მიანიჭა უმრავლესობა პროგრესისტებს 24 კაცით. ასე რომ ახალი საბჭო ქალაქისა ასე შესდგება: უწინდელი უმრავლესობა სამინისტროსი 47 კაცი, ხოლო პროგრესისტები 71 კაცი. რეაქციონერები ლამის დაგიქდნენ ჯავრით.

იაფი სასადილოები ლონდონში.

ამ უკანასკნელ 15—20 წლიწადის განმავლობაში ინგლისის უმაღლესი და საშუალო კლასების განათლებულ საზოგადოებებში შეძლებულებს აშკარად ემჩნევათ სურვილი, რომ მშრომელ კლასს დახმარება აღმოუჩინონ რითაც-კი შეიძლება ყველგან სოფლად და ქალაქებში. ინგლისის არისტოკრატია, რომელსაც წინათ საზიზღარ საქციელათ მიაჩნდა, რომ ღარიბ კაცს საშველად ხელი გაეწოდებინა, რასაც თავის დასამცირებლად სთვლიდა, ეხლა სადადა სჯის და დარწმუნებულია, რომ ღარიბების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა აუცილებელი მოთხოვნილებაა დღევანდელ ცხოვრების პირობების ძალით. ეხლა მშრომელ კლასს უმართავს იგი იაფ და საღს სადგომებს, მაღაზიებს, სასადილოებს, უმაღლესს კურსებს, ბიბლიოთეკებს და სხვ. რომლებიც ყველასათვის ხელმისაწდომია და რომლებიც გარდა უმაღლესი კურსებისა, საჯარო ლექციებისა და ბიბლიოთეკებისა თითქმის ყველაფერი უსასყიდლოდ ეთმობათ.

გარდა განსაკუთრებით მუშებისთვის საზოგადო იაფი სახლებისა, რომლებიც შენდებიან მუნიციპალიტეტებისაგან ლონდონში, გლაზგოვში, მანჩესტერში, ბირმინგამში და მრავალ სხვა ქალაქებში, არსებობენ მრავალი საზოგადოებანი, რომელთაც მიზნათა აქვთ ააშენონ დიდრონი სახლები და მშრომელ ხალხს იაფად მიაქირავონ. კერძო პირებიც არ უვარდებიან ამ შემთხვევაში საზოგადოებებს, ყველა ქალაქებში მრავლათ შეხვდებით კერძო პირებს, რომლებიც აშენებენ სახლებს და იაფად აქირავებენ. თუმცა, გულახდით რომ ითქვას, ეს კერძო პირები წაგებაში სრულებითაც არ არიან: მათ თავიანთი იაფ-ფასიანი სახლები 4% შემოსავალს აძლევენ და ეს 4%-კი კარგი ფულია მეტადრე ინგლისში, სადაც კრედიტი ძალიან იაფია.

როდისმე დაწვრილებით გავაცნობ მკითხველებს ამ იაფ ფასიან სახლების მოწყობა-მოკეთებას. ეხლა-კი გადავცემ რამდენიმე დამახასიათებელ მოწყობილობას იაფ-ფასიან სახლების საქმისას.

ლონდონის ერთ მრეწველობით შესანიშნავ უბანში შარშანდელი წლიდამ გაიხსნა მარტოხელებისთვის ღამის გასათევებელი ექვს-სართულიანი სახლი, რომელიც 400 მეტ საწოლ კრაოტს იტევს. თითო ოთახში იმის მიხედვით, თუ რამოდენაა ოთახი, დგას ერთიდამ მოყოლებული სამ კრაოტამდე თითო ოთახში. ამ სახლის ქვემოთა სართულში მოთავსებულია სასადილო, სამკითხველო, საბანებელი და სამზარეულო. მთელი სახლი განათებულია ელექტრონის ძალით. ამ სახლში თქვენ შეგიძლიანთ იბანაოთ თბილსა თუ ცივ აბანოში, შენაყრდეთ იქვე, სადაც მოგიტანენ სუფთა ჰურჭელს, თუ თქვენი საჭმელი გექნებათ, და თუ არა— ივახშმოთ გემრიელად (შეგიძლიანთ მოითხოვოთ ჩაი, რძე, ყველი, კვერცხი, ქაში და საკმაო პური), კარგს და სუფთა ლოგინში მოისვენოთ, დილით ნოყივრად ისაუზმოდ და შემდეგ, რასაკვირველია, სამუშაოთ წახვიდეთ და ბოლოს ცსეთი ხელ-გაშლილი მასპინძლობა ეგიჯდებათ არა უმეტესი 10 პენსისა (32 კაპ.) ეს სიიაფე უფრო შესამჩნევი იქმნება, თუ წარმოვიდგენთ, რომ მუშის სულ მცირედი ყოველ-დღიური შემოსავალი უდრის 30 პენსს, ხელოსნისა 48—60 პენ.; ოსტატისა 72—69 პენსს, ასე რომ 10 პენსი, რომელიც დაეხარჯა თავშესაფარში, შეადგენს მხოლოდ ერთ მესამედს; დანარჩენი $^2/_3$ რჩება მას სასადილოდ და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არა რომ იაფობაა ლონდონში მუშა ხალხისთვის ყოველ გვარ სისუფთავესთან და ლაზათიან მოწყობილებასთან ერთად (სამკითხველო, ელექტრონი და სხ.)!

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მრავალს ეს ფასებიც ეძვირებათ და ამტკიცებენ, რომ უფრო იაფად შეიძლება მოეწყოს ღამის გასათევებელი სახლებიო, ასე რომ $2^1/_2$ პენსათ (8 კაპიკათ) ივახშმებ გემრიელათ საკმაო პურით, კარგი ნაჭერი ხორცით და ჩაით და მოისვენებ სუფთა ლოგინში და რა გგონიათ? ესე იაფად მოწყობილი სახლიც საკმაო შემოსავალს შემოუტანს საზოგადოებას, რომელიც ამ ხანებში აპირებს ამისთანა სახლის დაარსებას. ხომ არის ჟენევაში ისეთი თავ-შესაფარი, სადაც 22 კაპეიკათ მოგართმევენ წვნიანს, შემწვარს, სალათას, ყველს, ტკბილეულს და ღვინოს დიდი სტაქნით, და რომელიც აძლევს საზოგადოებას კარგს დივიდენდს. ნიუ-იორკშიკი არის ისეთი თავშესაფარი სახლი, სადაც მხოლოდ ერთ პენსად ($3^1/_2$ კაპ.) შეგიძლიან კარგათ მოისვენო, ივახშმო ხორციანი საჭმლით და ჩაი დაატანო!

—

აი რისგან არის, რომ აქ არავის არ აკვირვებს მრავალ მილიონიანი საქმე იაფ-ფასიანი ღამის გასათევებელ სახლების მოწყობისა თავის სასადილოებით, საჩაიებით და წვრიმლის სავაჭროთი. ამ ჟამად იგი აპირობს გახსნას კარგი რესტორანები, სადაც სრული სადილი ეღირება მხოლოდ 4—6 პენსამდე (14—20 კაპ.) ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჟენევამდე და ნიუ-იორკამდე ჯერ კიდე შორს არის!

მ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი სურამიდგან

—

გაზაფხულის პირზედ, როდესაც ზაფხულობით გამშრალი ღელეები დიდ უზარ-მაზარ მდინარეებად იქცა, თვალში გვეჩხირება და დიდ ზარალსაც გვაძლევს სურამის საზოგადოების ხალხსა და ბევრს სხვასაც უხიდობა. სურამი მდ. სურამულათი გაყოფილია ორ ნაწილად. ორ-სამ ვერსზედ გაჭიმული მისი ნაწილები არსად არ არის შეერთებული ერთმანეთთან ერთის ხეირიანის ხიდით მაინც. აქაურ ოთხ ხიდში ერთს არ ეთქმის ხიდობა: ქვეითი კაცი თუ გავა ზედ და ისიც მაშინ, თუ მოიკრებს გამბედაობას და ენდობა ხიდს. ამ დღეებში ერთი ხიდი, რომელიც მთავარ ქუჩაზეა, ჩატყდა დ მეურმეები იძულებულნი ხდებიან აზღვავებულ წყალს მისცენ თავი; ორიოდე კინალამ იმსხვერპლა თავისს ხარ-კამბეჩით გაგიჟებულმა წყალმა. ეს ხიდები ყველა დაზიანდა პირველათ 1895—96 წლებში. მაშინ ზოგს იმათგანს სულმცირე შეკეთება ეყოფოდა, მაგრამ პატრონი არ უნდოდა? აი, მაგალითებრ, ერთი ხიდი, რომელიც სურამის დასავლეთ ნაპირას არის და რომელზედაც ორი რგვალი ხეა მარტო გადებული, შარშან წინ სულ ადვილი გასაკეთებელი იყო, შარშან კიდევ წრევანდელზედ უფრო ადვილი და ახლა-კი მოდიდებული გაზაფხულის წყალი ისეთის გაჯავრებით სცემს თავისს მღვრიე ტალღებს ხიდის ბურჯებს, რომ ამ ორ-სამ დღეში აღარც საცალფეხო ხიდი გვექნება სურამსა და ჩუმათელეთს შუა. მერე რა საჭირო ხიდია ეს ხიდი! ამ ერთის წლის წინად თუ ოცი, ოც-და-ათი თუმანი ეყოფოდა იმისს შეკეთებას, ეხლა აღარც ასი თუმანი ეყოფა. რა გამოიყვანს ჩვენს გლეხს სიღარიბისაგან, აბაზის მაგიერათ რომ მანეთი ჰხარჯოს და ოცის თუმნის მაგიერათ ასი თუმანი. გლეხს თუ გულშემატკივარი არა ჰყავს, თავისით იმდენს ერთსულობასა და გამჭრიახობას ვერ მოახერხებს, რომ წამხდარი საქმე დროზე გააკეთოს.

თუ პასუხის მგებელს დავუწყებთ ძებნას, უნდა ვთქვათ რამე ისევ მამასახლისის შესახებ. მამასახლისი მოვალე არის იზრუნოს იმისთანა საჭირო საქმისათვის, როგორიც არის ხიდებისა და გზების შეკეთება. მაგრამ ჩვენი მამასახლისები თავისს ჯამაგირს უფრო ერთგულად გააწერენ ხოლმე საზოგადოებაზედ და კიდეც ჰკრეფენ, ვიდრე ამისთანა საქმისათვის საჭირო ფულს. მაგრამ სურამს რომ კაი პატრონი ჰყავდეს, ფულისათვის სირბილი არ დასჭირდება ბევრი. სურამს ბევრი კარგი წყარო აქვს შემოსავლისა, მაგალითებრ, სასწორი, საყასბო და სასამართლოში დასწესებული გადასახადი დაბის სასარგებლოდ. ის-კი ვიცით, რომ ამ წყაროებიდან სურამს წელიწადში შემოსდის ორას თუმნამდის. ის-კი აღარ ვიცით, ვის მიაქვს ეს ამოდენი ფული. იქნება სურამის კასსა იმ ნაირის თვისებისაა, რომ ფულს ჰყლაპავს, ან იქნება სურამის მამინაცვლები ავსებენ ამ კასსას, რომ მერე ანაზდათ გააბედნიერონ სურამი... ვეჭვობთ-კი დაა!..

იმედია, ახალი მამასახლისი, ბ-ნი ნიკო ქიმერიძე, ყურადღებას მიაქცევს სურამის უხიდობას და ყოველს ღონეს იხმარს, რომ ეს ნაკლი შეავსოს დაბისა.

სურამში არსებობს სახალხო წიგნთ-სამკითხველო. ამ ერთის კვირის წინად შევიკრიბენით სურამის „მოწინავე დასი“ და ბევრის სჯა-ბაასის შემდეგ იმ აზრს დავადექით, რომ... მოვინდომეთ, რაი, აბა თუ გამოიცნობთ?.. სამკითხველოს დახურვა. აი ასეთის სწრაფის ნაბიჯით მივდივართ, იცით, საით? უკან, წინ-კი არ გეგონოთ. ჯერ-ჯერობით ჩვენი დანაპირები არ მოგვიყვანია სისრულეში, ვაპირებთ კიდევ შევკრბეთ ერთად და მაშინ გამოჩნდება რაც ხალხი ვყოფილვართ...

კურთხეული სურამი, ყველას მოეხსენება, ჩვენის „ბიძაშვილების“, ჰაოსიანების და ურიების ხელშია და თუ სცხოვრობენ, ესენი სცხოვროვრობენ. ესენი არც ხნავენ, არც სთესვენ, მაგრამ მოსავალი იმათია. ჩვენი ხალხი-კი თან და თან ეფლობა სიღარიბის მორევში. აქაური ახლო-მახლო სოფლები განხორციელებულ სიღარიბეს წარმოადგენს. ან რა გაამდიდრებს უსწავლელს, ვაჭრობის უცოდინარს, მწუხარებასა და სიხარულში უზომოდ მხარჯველს გლეხს? ყოველ დღეს სურამელი სომხები და ურიები აიკიდებენ ხოლმე მწვირიან ბოხჩებს და მოედებიან სოფლებს კალიასავით. ჰფცქვნიან, ატყავებენ, სჭამენ ხალხს. ყოველ მხრიდან მიაქვთ იერიში, თითქო სიმაგრე რამ უნდათ აიღონო, და კიდეც იღებენ. ვინ მოსთვლის რამდენ ქალს აპარვინებენ საოჯახო ჭირნახულს და მიაქვთ მუქთათ.

საჭიროა სკოლა და ხალხის გზის მაჩვენებელი, იმისთვის გულ-შემატკივარი კაცი, თორემ ცუდად არის ჩვენი საქმე.

ქ—ე

## ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის დაარსების მოკლე ისტორია.

1866 წელს მისის უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის თაოსნობით დაარსებულ იქმნა ქ. ქუთაისში უფასო სკოლა ყველა წოდების და სარწმუნოების ღარიბ ქალებისათვის, სადაც უნდა ესწავლებინათ წერა-კითხვა, ხელთ-საქმე და ოჯახობა.

თავდა პირველად ღვთის მიერ განსვენებულმა მისმა უდიდებულესობამ იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულმა შემოსწირა ამ სკოლას 300 მან. და დიდმა მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულმა 500 მან. ერთბაშად და ას-ასი მანეთი შვიდის წლის განმავლობაში. პირველად სკოლა იყო მოთავსებული ნაქირავებ სახლში, შემდეგ გადავიდა დროებით „წმ. ნინოს სასწავლებლის“ თავისუფალ შენობაში. 1859 წელს ქუთაისის მცხოვრებმა ბეკ-ოღლიმ ისურვა თავისის ხარჯით და სკოლისაგან მცირე შეწევნობით აეშენებინა ამ სკოლისათვის ორ-სართულიანი სახლი.

ამ კეთილის აზრის განსახორციელებლად ქუთაისის „წმ. ნინოს საქველ მოქმედო საზოგადოების მმართველობამ“ შეიტანა თხოვნა საზოგადოების საბჭოში, რათა მიეცათ სკოლისათვის სახლის აშენების ნება წმ. ნინოს სასწავლებლის მიწაზედ იმ პირობით, რომ როდესაც დასჭირდებოდა, ამ სასწავლებელს შესძლებოდა ამ სახლის ყიდვა. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა მისის უმაღლესობის ოლგა თეოდორეს ასულის ნებართვით და 1871 წელს სკოლა გადავიდა თავისს საკუთარ სახლებში. ამ დროს სკოლას შემოსწირეს კარგა ძალი ფული სხვა-და-სხვათ: ნ. ნ. კრიხმა, რეველის ვაჭარმა შემოსწირა 12,000 მან., ძმ. ი. ს. და ა. ს. ანანოვებმა 3.500 მან., რ. დ. ანანოვისამ 300 მან., გრაფ ლევაშოვმა 1000 მან., გრაფ პანინმა 300 მან., სიმონოვმა 500 მან., ას-ასი მან.: თ. კ. დადიანმა, გრაფ ა. ვ. ტოლსტოიმ, თავ. კ. ერისთავმა, პ. პ. პრინცმა, ნ. ლ. ტულოვსკიმ და ა. კ. ეჟიკოვმა და უფრო ნაკლები— კერძო კაცთა და სხვა-და-სხვა დაწესებულებამ. 1871 წელს გრაფ ლევაშოვის შემწეობით დიდმა მთავარმა კავკასიის „ნამესტნიკმა“ ნება დართო მიეცათ ქალაქის შემოსავალიდგან 1052 მან. ყოველ წლიურად. ამ წლიდგან 1875 წლამდე ამ შემოწირულებით და გრაფინია ლევაშოვის მზრუნველობით სკოლამ შეიძლო არა თუ სწავლება 50 ბავშვისა, მიცემა მუქთად სასწავლო ნივთებისა, საჭმელისა და ტანისამოსისა, არამედ შედგენა 12100 მან.

როცა ლევაშოვისა წავიდა, სკოლა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა: შემოწირულებანი აღარსაიდგან მოდიოდა და მარტო ქალაქის სუბსიდია, რომელიც 1875 წელს 1200 მან. იყო, აღარ ჰყოფნიდა. ამისათვის გუბერნატორმა ვლასტოვმა, როდესაც შემოსავლის და გასავლის ანგარიში ნახა, გადასწყვიტა მოესპო საჭმელისა, საცმელისა და სასწავლო ნივთების ძლევა მოსწავლეებისათვის, მაგრამ ამ საშუალებამაც ვერა უშველა რა სკოლას. 1881 წ. დირექტორმა ორლოვმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ სკოლას. შესცვალა შიგ უწინდელი წეს რიგი: შეადგინა ახალი შტატები და მოიწვია მასწავლებლები მუდმივის ჯამაგირით, მისცა სკოლას 15 სასწავლო სტოლი, ბევრი წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. რადგანაც სამზრუნველო საბჭოში მეტად ბევრი თხოვნა შედიოდა და საშუალება-კი აღარ იყო, რომ კიდევ უსასყიდლო კლასი მოემატებინათ, ამისათვის მზრუნველის ნების დართვით დანიშნეს სწავლის გარდასახადი ფული 12 მან. წელიწადში უფრო შეძლებულ მოსწავლეებისათვის. ამ რიგად სკოლას შეეძლო მიეღო 180 მოსწავლე, 120 უფასოდ და 60-კი ფულით. სკოლა გაუმჯობესდა და საზოგადოების თანაგრძნობაც მოიხვეჭა... დიდ-ძალი ფული შემოდიოდა, როდესაც სკოლის სასარგებლოდ ჰმართავდნენ რასმე, ასე რომ თანხა 25,000 მანეთამდე ავიდა, იმის გარდა, რომ რაც საჭიროა სკოლისათვის, ყველაფერი უკლებლად აქვს.

ამ წლის 1 იანვრიდგან ბ-ნ მზრუნველის თხოვნით საერო განათლების მინისტრმა დაუნიშნა სასწავლებელს 500 მან. ყოველ წლიურად. ქონებრივად სკოლა ძალიან კარგს მდგომარეობაში იმყოფებოდა აქამდის, ეხლა რომ წმ. ნინოს სასწავლებელს არ დასჭირებოდა სახლი. საქველ მოქმედო საზოგადოების საბჭომ ნება დართო წმ. ნინოს სასწავლებელს ეყიდნა სკოლის სახლი ტეხნიკების კომისიისაგან გადაწყვეტილ ფასად 9,371 მან. ამ ჟამად სკოლამ იყიდა სხვა ადგილი 875 ოთხ-კ. საჟენი 3,00 მან. და უნდა ააშენოს სახლი 252 მოსწავლესათვის, რომელიც დაჯდება 18,000 მან. რკინის მოაჯირი 128 საჟენი ჯდება 1,500 მან. ამ რიგად სკოლას აკლდება 14,000 მანეთი, რომელიც უნდა მოაკლდეს თავნ ფულს 25000 მანეთს. ეს მეტად საგრძნობი დანაკლისია სკოლისათვის, რადგან ესპობა სარგებელი და ამიტომაც ეხლა ძლიერ საჭიროა მისთვის საზოგადოების დახმარება. სწავლის კურსი ექვსი წლისაა. სასწავლო საგნები: სამღვთო ისტორია, რუსული და ქართული ენა, არითმეტიკა, გალობა, ხელ-საქმე, წერა, ხატვა და, ვისაც ჰსურს, საჭმელების მზადება. ხელ-საქმის გაკვეთილები განსაკუთრებით კარგად მიდის, რისთვისაც 1889 წელს კავკასიის გამოფენაზედ სკოლამ მიიღო პირველის ხარისხის მოწმობა, რაც უდრის ოქროს მედალს. ქ. ქუთაისის ღარიბ მცხოვრებთათვის ამისთანა სკოლა ერთად-ერთია და რამდენადაც საჭიროა იგი, ეს იქიდგან სჩანს, რომ 35 თავისუფალ ადგილის დასაჭერად 125 თხოვნა შემოიტანეს. ამ ჟამად სკოლაში 180 მოსწავლეა, მათ შორის 16 რუსი, 154 ქართველი 6 სომეხი და ფრანგი და 4 ებრაელი. წოდებით: თავადის ქალი ერთია, აზნაურის 59, ვაჭრების—53 და გლეხისა—66.

სკოლის უფროსი მ. რ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ძირაგეული, (რაჭა).** არა მგონია მთელ კავკასიაში ისეთი მიყრუებული სოფლები იყოს სადმე, როგორც საზოგადოდ მთელს რაჭაში, ნამეტნავად მიყრუებული და ყველასაგან თავ-მინებებულია, სოფელი ძირაგეული სადმელის საზოგადოებაში. ეს საზოგადოება შესდგება ოთხის სოფლისაგან, სოფელი სადმელი, ძირაგეული, ღვიარა და ბოსტანა. ამ ოთხის სოფლის სკოლაც და სასამართლოც იმყოფებოდა სოფელ ძირაგეულში. რადგანაც ღვიარას და ბოსტანზე 6 ვერსით შორს იყო სკოლაცა და სოფლის სასამართლოც, ამისათვის ამ ორმა სოფელმა ითხოვა, რომ სკოლაცა და სასამართლოც გადატანილ-იქმნეს ძირაგეულიდგან შუა ადგას. თხოვნა მალე ასრულდა და სკოლა და სასამართლო გადაიტანეს რიცეულის პირზედ. სასამართლოს ჯანი გავარდეს, რადგანაც კაცკაცებს იქ სიარული არ გაუჭირდებათ, მაგრამ რა ჰქმნას საწყალმა უსუსურმა ბავშვებმა, რომლებსაც არათუ ქარ-ბუქიანს ზამთრის დღეებში, ბრწყინვალე ზაფხულის დღეებშიც კი უჭირთ იმ სიშორეზედ სიარული და თითქმის ძირაგეულელი უმაწვილი სულაც არავინ დაიარება ხსენებულ სკოლაში. ექვს წელიწადზედ მეტია მასაქეთ, რომ სკოლა დაშორდა ძირაგეულს და მოსწყდა მოზარდი თაობა სწავლას. მე მგონია დიდხანსაც იქმნას სწავლას მოწყვეტილი, თუ ყურადღება არავინ მიაქცია. მაგრამ ვინ არის ისეთი გულ-კეთილი, რომ ყურადღება მიაქციოს ამ ფრიად საჭირო საქმეს.

სოფ. სადმელი განიყოფება ორ მრევლად: ერთი უფრო ახლოს არის ზემოხსენებულ სკოლაზედ, მეორე-კი თითქმის ძირაგეულსავით დაშორებულია სკოლაზედ, ამისათვის კეთილი საქმე მოისურვა მღვდელმა მამა პორფირე კერესელიძემ სადმელში და დაარსა თავისის ხარჯით თავისვე მრევლში ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. სკოლაში დაიარება 40-მდე მოსწავლე, რომელთაც უსასყიდლოდ ასწავლის თვით მამა კერესელიძე, უწინაც-კი ძირაგეულის სასოფლო სკოლაში ის იყო მასწავლებლად. დიდი მადლობის ღირსია მამა პორფირე ასეთის კეთილის საქმისათვის. სადმელის ორსავე მრევლს ეშველა ამით, მაგრამ რა ჰქმნას საწყალმა ძირაგეულმა, რომელსაც, არც მღვდელი და არც ერი ისეთი გულშემატკივარი არა ჰყავს, რომ იზრუნოს ასეთის კეთილის საქმისათვის.

სიმონ ბოჭორიშვილი

## რუსეთი

—

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სამრევლო სასწავლებლების ორივე სქესის მასწავლებელთ, სამსახურის ვადის შესრულებისა გამო უნდა დაენიშნოთ ხოლმე პენსია ისევე, როგორც დადგენილია სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთათვის, თუ სამსახურის ალსრულების დროს ჯამაგირიდგან ერიცხებოდათ სამრევლო სასწავლებელთა საპენსიო თანხის დაარსებისათვის საჭირო ფულიო.

— წელსაც არ იქმნება დაარსებული საერთო კომისია იმ ახალგაზდათა გამოსაცდელად, რომელნიც უმაღლესს სპეციალ სასწავლებლებში მოისურვებენ შესვლას და წინანდელივით ნება ექმნებათ რამდენსამე უმაღლესს სასწავლებლის მთავრობას მიართვან თხოვნა იმ იმედით, რომ ეგება ბედმა გაგვიღიმოს და ერთს რომელსამე სასწავლებელში მოგვიხდეს შესვლაო. მაინცა და მაინც წელს ამ ახალგაზდათ იმითი გაუადვილდებათ ეგზამენის გარდახდა, რომ პეტერბურგის ინსტიტუტების დირექტორთა მონაწილეობით საერთო პროგრამმა იქმნა შემუშავებული სამეტოქეო ეგზამენისა და ამ პროგრამით-კი საქმე გაადვილებულია, სახელდობრ მათემატიკურ საგნების პროგრამმა დიდათ არ განსხვავდება გიმნაზიებისათვის შემუშავებულ პროგრამისაგან და რუსულის ენისა კიდევ რეალურ სასწავლებელთა პროგრამისაგან.

— საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ნ. პ. ბოგოლეპოვმა განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან უნივერსიტეტების სტუდენტებმა ცოლის შერთვის ნება-რთვის ასაღებად უნდა მიჰმართონ ხოლმე იმ უნივერსიტეტის რექტორს, რომელშიაც სწავლობენო.

— ცვლილებათა შემოღების საქმე იმ ქალაქების თვით მმართველობაში, სადაც ქალაქის საქმეებს პოლიცია განაგებს, ამ ჟამად უკვე გამოირკვა და განზრახვა აქვთ ცვლილებანი ამ გვარ ქალაქებში 1898 წლის გასულს შემოიღონ.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ ეპარქიაში განსაკუთრებული სასწავლებლები იქმნას დაარსებული, რომელთაც ერთ-კლასიან სამრევლო სასწავლებელთათვის მასწავლებლები უნდა ამზადონ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო მიმდინარე წელს აარსებს 36 ახალს დაბალს სასოფლო-სამეურნეო, 16 საბაღოსნო და სხვა სპეციალ სასწავლებლებს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას.

— ამ ახლო მომავალში მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენლების თანადასწრებით გადაათვალიერებს და შეიმუშავებს აწ არსებულს კანონდებულებას მთა-მადნით სარგებლობის შესახებ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო დაბალ სასოფლო-სამეურნეო და სამიწათ-მოქმედო სასწავლებელთა მთავრობას მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შესასწავლად პრაქტიკანტებად მიიღონ ხოლმე გარეშე მსურველნიც, თუ იმათ მიღებას შესაძლებლად სცნობს ხსენებულ სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოო.

— იმ კომისიამ, რომელიც დაარსებულია საკანონმდებლო ცვლილებათა შემოსაღებად, სხვათა შორის, შემდეგ ცვლილებათა შემოღება იცნო სასურველად, სახელდობრ: ყოველი იურისტი რამდენსამე ხანს კანდიდატად უნდა იყოს, შემდეგ როდესაც იგი შესაფერს ეგზამენს გარდიხდის უფროსს კანდიდატის სახელწოდების მისაღებად, გზა ხსნილი ექმნება ამა თუ იმ თანამდებობის მისაღებად სასამართლოებში. ამას გარდა სასამართლოებში ამა თუ იმ თანამდებობაზედ უნდა დანიშნულ იქმნან ის ნაფიცი ვექილნი და იურიდიულ მეცნიერების პროფესორები, რომელთაც თავიანთ თანამდებობაში უმსახურნიათ ექვს წელიწადზედ არა ნაკლებ. პროექტის ძალით, კანდიდატებს დაენიშნებათ ჯამაგირები და მუდამ წელს მიეცემათ შესაწევრად 300 მან. უფლების მქონეთ წლის ბოლოს უნდა შეადგინონ და წარადგინონ სადაც ჯერ არს სია იმათი, რომლებიც შეიძლება რომ წინ-წაწეულ იქმნას სამსახურში. ადგილის განთავისუფლების დროს ერთი იმათგანი უნდა იქმნას წარდგენილი ამ თანამდებობის დასაჭერად, რომლებიც სიაში არიან აღნიშნულნი და ამასთანავე განმარტებულ უნდა იქმნას ის, თუ დანარჩენთაგან ვინ რად არ იქმნა წარდგენილი. დაახლოვებით სენატორს ჯამაგირად უნდა ეძლეოდეს 8,000 მან.; პალატის წევრთ—4,500 მ., ოლქის სასამართლოს წევრებს—3,000 მან.; მომრიგებელ-მოსამართლეთ—2,400 მან.; სასამართლოების წევრთ და მომრიგებელ მოსამართლეთ პროექტის ძალით დრო გამოშვებით უნდა მიემატოთ ხოლმე ჯამაგირებით.

## უცხოეთი

**კრიტი.** გაზ. „Temps“-ის სწერს, რომ ხმელთა შუა ზღვის რუსეთის ესკადრის ადმირალი სკრიდლოვი, როდესაც კრიტში მივიდა, ოსმალეთის წარმომადგენელმა ჯევად-ფაშამ ინახულა და კრიტის საქმეების შესახებ დიდხანს ელაპარაკა. ამ ლაპარაკის შესახებ საბერძნეთის გაზეთები იუწყებიან: „ჯევად-ფაშამ გადასცა ადმირალს, რომ საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა კრიტის მაჰმადიან მცხოვრებელთა დიდს აღელვებას გამოიწვევსო. სკრიდლოვმა მიუგო, რომ ეგ ამბავი გამიგონილია, რადგანაც მე ნამდვილის წყაროებიდგან ვიცი, რომ მაჰმადიანთა უმრავლესობა იმასა რჩეობს, რომ კრიტის გენერალ გუბერნატორად გიორგი იქმნას დანიშნული. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიტის ყოველგვარ უწესოებასა და უსამართლობას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც გენერალ-გუბერნატორად ბატონიშვილს გიორგის დანიშნავენო. ჯევად ფაშა არ დასთანხმდა ადმირალის აზრს და განაცხადა, რომ ამ საქმის შესახებ ადმირალებს ჩემს მოხსენებას წარუდგენო.

—

**საბერძნეთი.** ევროპის გაზეთები იუწყებიან, რომ საბერძნეთი თუმცა ძალიან გაჭირვებულია, მაინც აურებელ ფულს ხარჯავს ჯარის შეიარაღებისა და მოწყობისთვისაო. გაზ. „Temps“-ი იუწყება, რომ საბერძნეთის მთავრობა ჰგზავნის საფრანგეთში ორ ოფიცერს, რომ იმ ყუმბარებისა და სხვა საომარის იარაღის მისაღებად, რომელიც საბერძნეთმა ჯერ ისევ ოსმალეთ-საბერძნეთის ომის წინად შეუკვეთა. მთავრობამ, ამავე ოფიცრებს მიანდო საზღვაო არტილერიისათვის აურებელის თოფის წამლის სყიდვაო.

—

**ლონდონი.** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ამას წინად მოსულის დეპეშიდგან, შესანიშნავი და ინგლისის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონი ამ ჟამად ძლიერ ავად არის. ექიმებმა განაცხადეს, რომ გლადსტონის მორჩენის იმედი აღარ არისო. გლადსტონი ამ ჟამად 89 წლის კაცია. „ფოს. გაზ.“ სწერს გლადსტონის შესახებ, რომ ისეთი მაგარი აგებულების კაცი, როგორიცაა გლადსტონია, რაც უნდა ავად გახდეს, უეცრად არ გარდაიცვლებაო. გლადსტონი უკვე დიდი ხანია რაც ავად არის და თუმცა არა ერთხელა და ორჯერ უნატრია სიკვდილი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ცოცხალიაო. ამ ჟამად-კი, განაგრძობს იგივე გაზეთი, მართლაც, რომ გლადსტონის მორჩენა ძალიან ძნელია. შესანიშნავი მოხუცი იმდენად უძლურად არის თურმე, რომ ლაპარაკის საღსარიც-კი აღარა აქვს. თვალის სინათლე იმდენად დაჰკარგა, რომ კითხვა აღარ შეუძლიან. რაც შეეხება სმენას, დიდი ხანია რაც გლადსტონს ყური აკლიაო.

## დამაკვირდი

დიდებულს სულს ვერავითი შეურაცხება, უსამართლობა და ურიგობა ვერ მიეკარება.

ლაბრუიერი

* * *

„ახლო“ და „შორს“ ზღუდეა ჩვენის სხეულისა, სულმა-კი არც კალისა და არც საზღვარისა არა იცის-რა.

ჯალალ-ედდინი

* * *

შემსმენელთანი დაკეტკენ ზრახვანი და ცრუნი განსცვენ მსჯავრნი.

წმ. დავით აღმაშენებელი

### წყალ-ვარდნილი, ჩანჩქარი თუ მეჩხერი?

ამ წლის „ივერიის“ მე-34 №-ში დაბეჭდილია, სხვათა შორის, ერთი პაწია წერილი სათაურით: რომელი გეოგრაფიული სახელ-წოდება სჯობია? „ჩვენს მწერლობაშიო, ამბობს წერილის ავტორი, სიტყვა „ВОДОПАДЪ“-ს პირდაპირ სთარგმნიან—„წყალ-ვარდნილად“, ჰხმარობენ აგრეთვე „ჩანჩქერს“, მაგრამ ამ ცნების უფრო უკეთ გამომხატველი სიტყვა არის ხალხში „მეჩხერიო“. დასამტკიცებლად მოჰყავს ს. ძმუისში გაგონილი სახელწოდება ჩანჩქერისა „მეჩხერი“, რომელსაც გვირჩევს ვიხმაროთ „წყალ-ვარდნილისა“ და „ჩანჩქერის“ მაგივრად, როგორც გეოგრაფიული ტერმინი.

ჩვენ არა გვგონია, რომ სოფ. ძმუისის გარდა საქართველოს სხვა მხარეშიაც იხმარებოდეს ეს სიტყვა „ჩანჩქერის“ გამოსახატავად და რომ სიმართლეს მოკლებული არ გამოდგეს ჩვენი შენიშვნა, ამას შემდეგის მაგალითებით დავამტკიცებთ: გურიაში სიტყვა „მეჩხერი“ ნიშნავს: არა ხშირს, იშვიათს. თუ ნათესი საკმაოდ არ აღმოცენდა, იტყვიან,—მეჩხერი ჯეჯილიაო, თუ, რომელსამე კრებას ხალხისას ნაკლებად დაესწრო, მეჩხერი ხალხი იყოო და სხვა. ამ სახით, არა მგონია „ВОДОПОДЪ“-ი ითარგმნოს „მეჩხერად“, ანუ ეს სიტყვა აღნიშნავდეს ხსენებულ საგანს, რადგან ეს სიტყვა სულ სხვა აზრის გამომხატველია, როგორც დავინახეთ, და არავითარი კავშირი-კი არა აქვს „მეჩხერთან“—„ჩანჩქერს“. *)

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ცხადად გვიმტკიცებს, რომ არც „ВОДОПАДЪ“-იდგან სისწორით თარგმნა გვჭირია—„წყალვარდნილისა“. ჩვენში თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზედ შეხვდებით მთიდგან ჩამოქანებულს წყლებს და რა დასაჯერებელია, რომ ხალხს მისთვის შესაფერი სახელი არ დაერქმიოს? დარწმუნებულნი ვართ, რომ საცილო საგნის უკეთ გამომხატველი სახელი უთუოდ ხალხში იქნება დაცული და ადრე თუ გვიან კიდეც შემოვა მწერლობაში, მხოლოდ „წყალ-ვარდნილსა“ და „ჩანჩქერს“ შორის მოქალაქეობა უკანასკნელს უნდა მიეცეს. წყალ-ვარდნილი, პირდაპირი თარგმანია „ВОДОПАДЪ“-იდგან, ნასესხები და არა ნამდვილი ქართული სახელი, ქართველისავე დარქმეული და „ჩანჩქერი-კი წარმომდგარია სიტყვიდგან: ჩა-ჩქარი“ და აღნიშნავს: ჩქარა ჩავარდნას დაბლობში, ჩქარა ჩარბენას; „ჩა-ჩქარს“ შუაში „ნ“ მიჰმატებია და „ანი“-ს მაგივრად იხმარება—„ე“-ნი. გურიაში ჰხმარობენ „ჩანჩქარს“, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო სინამდვილით გამომხატველია კლდიდგან ჩამოქანებულის წყლისა, თუმცა დიდს უვარგისობას ვერც „ჩან-ჩქერს“ დავსწამებთ, რადგან ამ ორ სიტყვათა შორის არაფერი განსხვავება არ არსებობს და რაც შეეხება მამა ზაქარია დავითაშვილის წერილს, რომელშიდაც გვირჩევს „ჩახრიალა“ და „ჩაბარუხი“ ვიხმაროთ („ივერია“ № 49), თუმცა დიდს ზიანს არ მოგვცემს ამ სიტყვათა ხმარება, მაგრამ მაინც ჩემ მაგიერად „შავი კენჭი“, რადგან „ჩახრიალას“ ეტყობა, ამ დღეებში მოგონილი უნდა იყოს და არა ნამდვილი სახელი.

მეკელე

*) რომ დავარწმუნოთ მკითხველი, რომ „მეჩხერი“ უთუოდ „იშვიათს“ ჰნიშნავს, ვუჩვენებთ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონს, სადაც სწერია: მეჩხარი.—იშვიათი. მ.

### გამოსადეგი ცნობა

—

ვისაც სურს კარგი ერბო იქონიოს, ასე უნდა გადაადნოს. გადასადნობი ერბო მოაქციეთ რომელსამე ცალკე ჭურჭელში და აგრე ჭურჭლით ჩასდგით ქვაბში, რომელშიაც ძალიან ადუღებული წყალი უნდა იყოს. ადუღებულის წყლისაგან გადნება ერბო ჭურჭელში და რაც ერბოს უვარგისი რამა აქვს ძირს დაილექავს და წმინდა და ანკარა გამდნარს ერბოს ზემოდ მოიგდებს. ეს ზემოდ მოგდებული ერბო ფრთხილად გადაიღეთ ქილაში, პირი მაგრად და კარგად დაუცვით და მოუკარით. ესე გადამდნარი ერბო გემოთიც, სუნითაც და ფერითაც უფრო კარგია და კარგად ინახება თურმე, ვიდრე პირდაპირ ქვაბში გადამდნარი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 მარტი

**ხარკოვი.** საშინელი დრამა მოხდა პუტივლსკის მაზრის სოფელ სტეფანოვკაში: გლეხმა თევდორე ნაუმენკომ ცულით დასჩეხა სამი ყმაწვილი, 10, 6 და 2 წლისა, ცოლი და მეზობელი რაიდენკო და მძიმედ დასჭრა თავისის ცოლის და ბონდარენკოვისა. ბოროტ-მოქმედების ყოველი გარემოება ამტკიცებს, რომ ნაუმენკო ჭკუათა არა მყოფელი უნდა იყოს. მას ხატის წინ აუნთია სამი სანთელი, უბრძანებია შვილებისათვის, ტანთ გაიხადეთო, თითონაც გაშიშვლებულა და მოუკლავს მლოცველი ბავშვები, აკვანში მწოლიარე პაწია ქალიშვილი და ცოლი, ცოლის და და მეზობელი, რომელნიც ხმაურობაზედ მოცვივნულან.

**პარიჟი.** ჰანოტომ შეიტანა პალატაში კონვენცია საბერძნეთის სესხის უზრუნველ-ყოფის შესახებ, რომელზედაც ხელი უწერიათ მონოსონს, თავად ურუსოვს, დელიანისს და ჰანოტოს.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა დიდის სიხარულით ეგებება რუსეთ-ჩინეთის მორიგებას.

**კონსტანტინეპოლი.** პორტა თხოულობს, რომ უსკიუბელი ბოლგარიის ეპისკოპოსი დათხოვნილ იქმნასო. საექსარხოსომ უარ-ჰყო ეს წინადადება, რადგან არავითარი საფუძველი არა აქვსო.

**ვენა.** მთავრობას განზრახვა აქვს დელეგაციაში წინადადება შეიტანოს იმის შესახებ, რომ 45 მილიონი გულდენი იქმნას გადადებული სამხედრო გემების შესაიარაღებლად. ეს ხარჯი რამდენსამე წელიწადზედ იქმნება განაწილებული.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ბრძოლა კუბას კუნძულზედ. თუ ისპანიამ არ შეიწყნარა ეს მოთხოვნილება, მაკ-კინლეი იმ წამსვე საქმეს კონგრესში წარადგენს განსახილველად.

**ლონდონი.** ახალშენების მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ ვერავინ ვერ დაუშლის რუსეთს მანჯურიის დაჭერასაო. ეს იმდენად ნაკლებად არის საწყინო ინგლისისათვის, როგორც რუსეთისათვის არ იქნებოდა საწყინო, რომ არ დაეშალა ინგლისისათვის ხარტუმის დაჭერა.

**იოკაჰამა.** ინგლისის სამი გემი გავიდა ჩემულპოდგან, ხოლო არავინ იცის საით წავიდა.

**ჰონგკონგი.** ინგლისის ორი სამხედრო ხომალდი წავიდა ჩრდილოეთისაკენ. ფლაგმონის გემი „ცენტურიონი“ ნალმიან გემებთან ერთად ხუთშაბათს მიდის.

**პეტერბურგი.** შთამომავლობით საპატიო მოქალაქე ლილიონოვი არჩევანის თანხმად დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ქალაქის მოურავად.

**პარიჟი** საკასსაციო სასამართლო შეუდგა ზოლას სააპელაციო საჩივრის განხილვას ნაფიც მსაჯულთა განაჩენის წინააღმდეგ. ბრალმდებელმა უარ-ჰყო საჩივრის ყოველივე საბუთი. სასამართლომ განაჩენის გამოცხადება შაბათამდის გადასდო.

**ბერლინი** „ფოსსის გაზეთი“ სწერს: „რუსეთი არამც თუ ჩინეთში მიჩნეული ხელმძღვანელ სახელმწიფოდ, მერ მისის სახელმწიფოდ, არამედ ავღანისტანსა ინდოეთში—ყველგან სადაც-კი აქნამდის საეჭვო იყო, რომელი უფრო ძლიერია—რუსეთი თუ ინგლისიო, ეხლა დარწმუნდებიან, რომ რუსეთის იმპერია ზევით იწევს ხოლო ინგლისი—ქვეით.

**პარიჟი** პალატის სამხედრო კომისიამ მოისმინა ბილიოს აზრი იმ პროექტის შესახებ, რომლის ძალითაც სამხედრო სამსახური ორ წლამდის უნდა შემცირებულ იქმნას. ბილიო პროექტის წინააღმდეგი იყო. კომისიამ ერთ-ხმად უარ-ჰყო პროექტი.

**ათინა** კარდიტაცისა და გეორგისის საქმის გარჩევა დღეს დაიწყო აურებელის ხალხის თანადასწრებით. კარდიტცის მღელვარება არ ეტყობა; ჰლექისაგან საშინლად ფერ-მკრთალია. მეფის ასულის მარიამის ჩვენება წაიკითხეს. მოწმეთ გადასცეს უკვე ცნობილი ფაქტები. ქალაქის საბჭოში ერთმა მოსამსახურეთაგანმა წინა დღეს იპოვნა განჯინაში, რომლითაც კარდიტცი ჰსარგებლობდა, დინამიტით გატენილი ყუმბარა. კარდიტცისა და გეორგისს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი** გამოცხადებულია, რომ ქალაქები ჯედდა (არაბეთში) და ჰონკონგი (ჩინეთში) შავის ჭირის მხრივ საშიშრად არის აღიარებული.

## განცხადებანი


### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 16 მარტიდგან დაარსებულ იქმნა ქალაქის ფარდულები, რომელშიაც მიღებული იქმნებიან ყვავილით ავადმყოფი ბავშვები 14 წლამდე და დედაკაცები. შეუძლებელთ უსასყიდლოდ მიიღებენ. ბავშვებთან ერთად დედებსაც მიიღებენ. ფარდულები მოთავსებულია ავლაბარში, სამების უბნის ზემოდ.

(3—6.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Марта 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.